რუსეთის მედიაცია ყარაბაღის კონფლიქტში

ალექსანდრე ეროიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე ეროიანი 21.06.2021

სარჩევი

აბსტრაქტი 4

1. შესავალი 6

1.1 ჰიპოთეზა 8

1.2 ტერმინთა განმარტება 8

1.3 მეთოდოლოგია 9

1.4 თეორია 10

2. ლიტერატურის მიმოხილვა 13

3. კონფლიქტის ისტორიული პრეკურსორები 16

4. ყარაბაღის პირველი ომი 19

5. საერთაშორისო გამოხმაურებები და მედიაციის მცდელობები 90-იან წლებში 24

6. ომის შემდგომი ვითარება 27

7. ყარაბაღის მეორე ომი 29

8. თურქეთის როლი 33

9. რუსული მედიაციის შედარებითი ანალიზი ყარაბაღის პირველი და მეორე ომების დროს 35

10. მსჯელობა 39

11. დასკვნა 40

გამოყენებული ლიტერატურა 42

აბსტრაქტი

ყარაბაღის კონფლიქტი ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ ე.წ. გაყინულ კონფლიქტს წარმოადგენს პოსტ-საბჭოთა სივრცეში, სადაც რუსეთს არ ქონდა განლაგებული საკუთარი ჯარები. 2020 წლის ომის შედეგად რეგიონში ახალი სტატუს კვო ჩამოყალიბდა. აზერბაიჯანმა დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიების ნაწილი, ხოლო რუსეთმა განალაგა საკუთარი სამშვიდობო მისია ლაჩინის კორიდორში და მთიანი ყარაბაღის პერიმეტრზე. ეუთოს, აშშ-ის, შვედეთისა და საფრანგეთის მედიაციის მრავალი მცდელობის მიუხედავად, წარმატებას მხოლოდ რუსეთმა მიაღწია. ასე მოხდა როგორც 1994 წელს, ისე 2020 წელს. წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გაანალიზოს ის ფაქტორები, რომლებმაც აიძულეს მეტოქე ქვეყნებს მიეღოთ რუსეთის მედიაცია და რომლის შედეგადაც რუსეთმა მიაღწია წარმატებას. საკვლევი კითხვები, რომლებზეც გაეცემა პასუხი კვლევის მსვლელობისას ჟღერს შემდეგნაირად: *რატომ დათანხმდა სომხეთი და აზერბაიჯანი რუსეთის მედიაციას 2020 წელს და რა ფაქტორებმა განაპირობეს რუსეთის მედიაციის წარმატება?*

ჩვენს კვლევაში ჩვენ ვეყრდნობით ზარტმანის „მწიფობისა“ და პრუიტის „მზაობის“ თეორიებს, რომელთა მიხედვით, რუსეთის მედიაციაზე თანხმობა და წარმატების მიღწევა რამოდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: ა) რუსეთი წარმოადგენს რეგიონალურ ძალას და გააჩნია საკუთარი ინტერესები და გავლენის ბერკეტები მეტოქე ქვეყნებზე, რამაც განაპირობა მათი თანხმობა მედიაციაზე და მედიაციის წარმატება; ბ) ქვეყნბი შევიდნენ გარკვეულ ჩიხში და „მომწიფდნენ“ მედიაციისათვის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნორს, რომ ზარტმანის თეორიის მიხედვით მხარეების „მწიფობა“ განპირობებულია ე.წ. „Mutualy hurting stalemate” ფაქტორით. ჩვენ ვთვლით, რომ ყარაბაღის 2020 ომის შემდეგ მხარეების მწიფობა განპირობებულია ასიმეტრიული ჩიხით და არა ე.წ. „Mutualy hurting stalemate” და ასევე რუსეთის მიერ ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობით მედიაციის პერიოდში.

კვლევისთვის გამოვიყენე თვისებრივი მეთოდები. სახელმწიფო დოკუმენტები, ოფიციალური განცხადებები და სტატისტიკა მისცემს მკვლევარს საშუალებას სიღრმისეულად გაანალიზოს არსებული საკითხი.

საკვანძო სიტყვები: *მედიაცია, ყარაბაღის კონფლიქტი, რუსეთი.*

Abstract

The Nagorno-Karabakh conflict is one of the longest-running so colled frozen conflicts in the post-Soviet space, where Russia did not have its own troops. As a result of the 2020 war, a new status quo was formed in the region. Azerbaijan recaptured the part of lost territories, while Russia deployed its own peacekeeping mission in the Lachin corridor and on the perimeter of Nagorno-Karabakh. Despite many attempts of mediation by OSCE, the US, Sweden and France, only Russia has succeeded. This happened both in 1994 and in 2020. The main purpose of this paper is to analyze the factors that forced rival countries to accept Russian mediation and as a result of which Russia has achieved success. Thus, the research questions are "*Why did Armenia and Azerbaijan agree to Russian mediation in 2020 and what factors contributed to the success of Russian mediation?*"

Paper has developed hyphotesis according to Zartman's "Ripeness" and Pruitt's "Readiness" theories, according to which, acceptance of Russian mediation and its success was conditioned by several factors: a) Russia is a regional power and has its own interests and levers of influence over rival countries thus, mediation was accepted and successful; c) Armenia and Azerbaijan have reached "Ripeness" for acceptance of mediation. However, it should be noted, that according to Zartman's theory "Mutualy hurting stalemate" is necessary for countries to become "ripe". We believe that the "ripeness" of the countries after the Karabakh war in 2020 is due to an asymmetric impasse and not due to "Mutualy hurting stalemate" and also due to the possibility of Russia using leverage during the mediation period.

The paper uses qualitative methods, statements of official politicians, state documents and statistics will enable author to make a deep analysis of the topic.

Key words: *mediation, Karabakh conflict, Russia.*